



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/12

„ 24 „ აპრილი 2015 წ.

გ ა ღ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2015 წლისათვის საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2014 წლის 17 დეკემბერს გამოცხადებულ იქნა ელექტრონული ტენდერი (SPA140029933). ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა - შპს „სკს“-მა და შპს „საქართველოს ფოსტამ“. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შპს „საქართველოს ფოსტა“ დისკვალიფიცირებულ იქნა ტენდერიდან და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „სკს“. შპს „საქართველოს ფოსტამ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში ეტაპობრივად წარადგინა 4 სხვადასხვა საჩივარი, რამაც, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოიწვია ტენდერის პროცედურების შეჩერება.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე საფოსტო და საკურიერო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის თაობაზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2015 წლის 27 იანვრის №1/2 გადაწყვეტილების შესაბამისად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, სატენდერო პროცედურების დასრულებამდე, შპს „სკს“-თან 3-ჯერ იქნა გაფორმებული ერთთვიანი ხელშეკრულება საფოსტო და საკურიერო მომსახურების თაობაზე. ბოლო ასეთი ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის ვადა განსაზღვრულია 2015 წლის 30 აპრილის ჩათვლით. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყდება სატენდერო პროცედურების დასრულების შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო და საკურიერო მომსახურების გამიჯვნა. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ საფოსტო მომსახურების ბაზრის მოკვლევის შედეგად ოპტიმალური შემოთავაზება ქვეყნის შიგნით საფოსტო მომსახურებაზე წარმოადგინა შპს „საქართველოს ფოსტამ“, ხოლო საერთაშორისო საფოსტო მომსახურებაზე - შპს „ჯორჯიან ექსპრესმა“ (DHL).

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებისა და არსებული შემოთავაზებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ადგილობრივი საფოსტო და საკურიერო მომსახურება განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3¹ პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხოლო საერთაშორისო საფოსტო და საკურიერო მომსახურებაზე გამოცხადდეს ხელახალი ელექტრონული ტენდერი.

საერთაშორისო საფოსტო და საკურიერო მომსახურების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია სატენდერო პროცედურების დასრულებამდე ხელშეკრულება გაფორმებულ იქნეს საუკეთესო შემოთავაზების მქონე კომპანიასთან. შექმნილი მდგომარეობის დაუყოვნებლივ მოგვარებისა და ტენდერის დასრულებისათვის საჭირო ვადების გათვალისწინებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) შექმნილი მდგომარეობა შეფასდეს როგორც გადაუდებელი აუცილებლობა;

ბ) თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადების გათვალისწინებით, საერთაშორისო საფოსტო და საკურიერო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ლევან მურუსიძე



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი